

შპს „ჯი-თი ენოლოჯიკა“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2020 წლის 31 დეკემბერს

**ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)**

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები:		
ძირითადი საშუალებები	77,459	54,298
არამატერიალური აქტივები	2,491	3,381
სხვა გრძელვადიანი აქტივები	14,334	14,334
სულ გრძელვადიანი აქტივები	94,283	72,013
მიმდინარე აქტივები:		
მარაგები	1,104,909	676,937
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	610,243	264,532
წინასწარ გადახდილი გადასახადები	58,769	39,942
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	50,481	111,699
ფული და ფულის ექვივალენტები	811,890	1,037,804
სულ მიმდინარე აქტივები	2,636,292	2,130,914
სულ აქტივები	2,730,576	2,202,927
აქციონერთა კაპიტალი:		
საწესდებო კაპიტალი	275,858	275,858
გაუნაწილებელი მოგება	1,940,142	1,217,991
სულ აქციონერთა კაპიტალი	2,216,000	1,493,849
მიმდინარე ვალდებულებები:		
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	234,993	663,819
მიღებული ავანსები	275,126	45,259
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4,456	
სულ მიმდინარე ვალდებულებები	514,576	709,078
სულ ვალდებულებები	514,576	709,078
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები	2,730,576	2,202,927

შპს ჯი-თი ენოლოჯიკა“

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:


**ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)**

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები:		
ძირითადი საშუალებები	77,459	54,298
არამატერიალური აქტივები	2,491	3,381
სხვა გრძელვადიანი აქტივები	14,334	14,334
სულ გრძელვადიანი აქტივები	94,283	72,013
მიმდინარე აქტივები:		
მარაგები	1,104,909	676,937
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	610,243	264,532
წინასწარ გადახდილი გადასახადები	58,769	39,942
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	50,481	111,699
ფული და ფულის ექვივალენტები	811,890	1,037,804
სულ მიმდინარე აქტივები	2,636,292	2,130,914
სულ აქტივები	2,730,576	2,202,927
აქციონერთა კაპიტალი:		
საწესდებო კაპიტალი	275,858	275,858
გაუნაწილებელი მოგება	1,940,142	1,217,991
სულ აქციონერთა კაპიტალი	2,216,000	1,493,849
მიმდინარე ვალდებულებები:		
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	234,993	663,819
მიღებული ავანსები	275,126	45,259
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4,456	
სულ მიმდინარე ვალდებულებები	514,576	709,078
სულ ვალდებულებები	514,576	709,078
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები	2,730,576	2,202,927

შპს „ჯი-თი ენოლოჯიკა“

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:




**სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)**

	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
მიმდინარე ოპერაციები		
შემოსავალი	4,248,512	3,815,379
რსო	(3,317,827)	(3,018,650)
მთლიანი მოგება	930,685	796,728
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	(14,413)	(12,857)
ადმინისტრაციული ხარჯები	(364,011)	(358,900)
საპროცენტო შემოსავლები	23,860	17,231
საპროცენტო ხარჯები	(4,637)	(12,514)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	60,616	9,955
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	90,676	(137)
მოგება გადასახადამდე	722,777	439,506
მოგების გადასახადი	(633)	(816)
წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან	722,144	438,690
წლის მოგება	722,144	438,690
სხვა სრული შემოსავალი		
სულ წლის სრული შემოსავალი	722,144	438,690

შპს ჯი-თი ენოლოჯიკა“

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

**სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)**

	2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი	2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი
მიმდინარე ოპერაციები		
შემოსავალი	4,248,512	3,815,379
რსო	(3,317,827)	(3,018,650)
მთლიანი მოგება	930,685	796,728
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	(14,413)	(12,857)
ადმინისტრაციული ხარჯები	(364,011)	(358,900)
საპროცენტო შემოსავლები	23,860	17,231
საპროცენტო ხარჯები	(4,637)	(12,514)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	60,616	9,955
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	90,676	(137)
მოგება გადასახადამდე	722,777	439,506
მოგების გადასახადი	(633)	(816)
წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან	722,144	438,690
წლის მოგება	722,144	438,690
სხვა სრული შემოსავალი		
სულ წლის სრული შემოსავალი	722,144	438,690

შპს „ჯი-თი ენოლოჯიკა“
დირექტორი:
მთ. ბუღალტერი:




**ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)**

	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-203,643	-143,229
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-22,271	-35,244
წმინდა ზრდა(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-225,913	-178,473
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,037,804	1,216,277
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	<u>811,891</u>	<u>1,037,804</u>

მპს „ჯი-თი ენოლოჯიკა“

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

**ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)**

	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-203,643	-143,229
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-22,271	-35,244
წმინდა ზრდა(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-225,913	-178,473
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,037,804	1,216,277
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	<u>811,891</u>	<u>1,037,804</u>

შპს „ჯი-თი ენოლოჯიკა“

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

(Handwritten signature)



შპს „ჯი-თი ენოლოჯიკა“

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

1. შპს ჯი-თი ენოლოჯიკა

შპს ჯი-თი ენოლოჯიკა „ (406132055) წარმოადგენს 2014 წლის 18 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც „ჯი-თი გრუპ“-მა დააფუძნა იტალიურ კომპანია „Consulente Enologica“-თან პარტნიორობით.

კომპანიის საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია მეღვინეობასთან და მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

1. ღვინის წარმოებისთვის საჭირო დანადგარების იმპორტი. „ჯი თი ენოლოჯიკა“ ქართულ ღვინის საწარმოებს აწვდის თანამედროვე, ინოვაციურ ტექნოლოგიებს წამყვანი ევროპული მწარმოებლებისგან და უზრუნველყოფს მათ გამართულ ფუნქციონირებას დროული და კვალიფიციური გაყიდვების შემდგომი მომსახურებით. ამ მიმართულების ფლაგმანი ბრენდი „ჯი-თი ენოლოჯიკა“-ს პორტფელში გახლავთ „Bucher Vaslin“, რომელიც არის დარგის ლიდერი მსოფლიოში.
2. ღვინის წარმოების, მომზადებისა და შენახვისთვის საჭირო მასალებისა და კომპონენტების იმპორტი. კომპანიის მიერ იმპორტირებული ICE-ს ბრენდის პროდუქტები შექმნილია წამყვან იტალიურ სამეცნიერო ინსტიტუტებთან პარტნიორობით და უკვე რამდენიმე წელია წარმატებით გამოიყენება ქართველი მეღვინეების მიერ.
3. სხვადასხვა ტიპის მომსახურება: ტექნიკური მხარდაჭერა, ახალი საწარმოს პროექტირება, კონსულტაციები და ტრენინგები. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული მომხმარებლის მომართვა ახალი საწარმოს შექმნაზე, მუშავდება იტალიელი ექსპერტების აქტიური ჩართულობით. შედეგად, უმცირესი დეტალიც კი გათვლილია და ნებისმიერი გადაწყვეტა სათანადოდ დასაბუთებული.

გარდა მედვინეობის მიმართულებისა კომპანია წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა საკვები პროდუქტების წარმოებისთვის საჭირო დანადგარების თუ მთლიანი ტექნოლოგიური ხაზის მიწოდებას: თაფლის ჩამოსასხმელი ხაზი, რძის გადამამუშავებელი დანადგარები, სხვადასხვა სითხეების ჩამოსასხმელი დანადგარები და სპირტის სახდელები. 2019 წელს თანამშრომლობა შედგა სლოვენურ კომპანია SRAML-თან და შედეგად მომხმარებლებს კომპანია შესთავაზებს ხილის წვენის წარმოებისთვის საჭირო დანადგარების სრულ ხაზს.

მევენახეობის მიმართულებით, კომპანია მომხმარებელს თავაზობს ელექტრო სეკატორებსა და შემხვევებს წამყვანი ფრანგული კომპანიისგან „Infaco“.

ეტაპობრივად იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა კომპანიაში და აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანია საკუთარ თანამშრომლებს უქმნის ყველა პირობას ზრდისა და განვითარებისთვის. მათ შორის, უზრუნველყოფს პერსონალის სისტემატურ პროფესიულ ტრენინგებს უცხოეთში, უფინანსებს ენის კურსებს და უზრუნველყოფს სამედიცინო დაზღვევას.

კომერციული საქმიანობის პარალელურად, კომპანია ახორციელებს აქტივობებს, რომელთა მიზანია ქართველ და იტალიელ მედვინეებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება, ქართული ღვინის პოპულარიზაცია იტალიაში და წამყვანი იტალიური უნივერსიტეტების დაინტერესება ქართული მევენახეობა-მედვინეობით.

2020 წელზე გარკვეული ნეგატიური ეფექტი იქონია პანდემიამ, განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში. კერძოდ, კომპანიის მსხვილი კლიენტების ნაწილს შეუმცირდათ გაყიდვები და შესაბამისად შეამცირეს ღვინის წარმოება. შესაბამისად ამ ფაქტორმა ნეგატიურად იმოქმედა ღვინის დამხმარე მასალების რეალიზაციაზე. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა 2021 წელსაც. ამის მიუხედავად 2020 წელი „ჯი-თი ენოლოგიკა“-სთვის მთელი რიგი მიმართულებებით იყო გამორჩეული. კომპანიამ პროდუქტების პორტფელს დაამატა არყის სახდელები და ხილის გადამამუშავებელი დანადგარები. 2020 წლიდანვე კომპანიამ გააქტიურდა მცირე მარნების და საცალო ვაჭრობის მიმართულებით. პროდუქტების პორტფელს დაემატა შესაბამისი პროდუქტები სხვადასხვა იტალიური მწარმოებლიდან. ამ აქტივობების შედეგს კომპანია ელოდება 2021 წელს.

ყველა ამ ფაქტორის და კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით , ნათელია რომ „ჯი-თი ენოლოჯიკა“ იზრდება სტაბილურად, რაც იმის ნიშანია რომ ასრულებს საკუთარ მისიას და მიჰყვება დასახულ სტრატეგიას.

პარტნიორები:

51%	წილის მმართველი შპს ჯი-თი გრუპი (ს.კ 200119923)
46%	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კონსულენტე ენოლოჯიკა, 8156004F5731EABD0E77 /იტალია/
3%	კოსტანტინო მესხი, 65109000175 /ორმაგი მოქალაქე საქართველო/იტალია
100%	

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია:

დირექტორი: გიორგი აბჟანდაძე , პ.ნ 38001007006

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართა თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის 48ვ და ადგილმდებარეობა ადმანუბლების 216

2. კომპანიის მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი საადრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

მოცემული ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური

ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.2766
ლარი/1 ევრო	4.0233

2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი

ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
საოფისე აღჭურვილობა	5-7 წელი
არამატერიალური	10 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.4 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 10 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს საადრიცხვო პროგრამას.

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები

ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს .

2.6 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.8 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.9 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

2.10 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და აღარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებები არ ყოფილა დაგირავებული.

	სატრანსპორტო საშუალება	ავთო და სხვა ინვენტარი	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2020	52,261	17,690	69,951
შესყიდვა	33050.76	1990.68	35041.44
რეალიზაცია	-		
ღირებულება 31 დეკემბერი 2020	85,312	19,680	104,993
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2020	-9,180	-6,474	-15,654
ცვეთის ხარჯი (პერიოდის ცვეთა)	-8862.15	-3017.83	-11,880
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-		
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2020	-18,042	-9,492	-27,534
წმინდა საბალანსო ღირებულება :			
31 დეკემბერი 2020წ	54,298	23,161	77,459

4. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2020	4948.37
შესყიდვა	
რეალიზაცია	
ღირებულება 31 დეკემბერი 2020	4,948
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2020	-1,567
ცვეთის ხარჯი (პერიოდის ცვეთა)	-890.72
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2020	-2,458
31 დეკემბერი 2020წ	3,381

5. სხვა გრძელვადიანი აქტივები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა გრძელვადიანი აქტივების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
სხვა საგადასახადო აქტივი	14 373	14 373
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	14 373	14 73

6. მარაგები

მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020
სარეალიზაციო საქონელი	1 104 486
საწვავი	423
სულ	1 104 909

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები :

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	610 243
წინასწარ გაწეული ხარჯი	
სულ	610 243

8. გადახდილი ავანსები

მომწოდებლებზე და წინასწარ გადახდილი ავანსები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020
წინასწარ გადახდილი გადასახადები	58 769
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	50 481
სულ	109 241

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2020</u>
ფული ბანკში	811 789
ფული სალაროში	102
<u>სულ</u>	<u>811 891</u>

10. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2020</u>
სავაჭრო ვალდებულებები	234 994
მიღებული ავანსები	275 126
სხვა ვალდებულებები	4 456
<u>სულ</u>	<u>514 576</u>

12. შემოსავალი

შემოსავალი 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2020</u>
საქონლის რეალიზაცია	4 248 512
<u>სულ</u>	<u>4 248 512</u>

13. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შრომის ანაზღაურება	263 336
საპენსიო	5 061
საიჯარო ქირა	45 592
კომუნიკაციის ხარჯები	2 423
საკანცელარიო ხარჯი	109
დაზღვევა	2 918
ოფისის ხარჯი	338
ოფისის ჰიგიენის ხარჯი (პრევენცია)	1 463
მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯი	666
კომპიუტერის ხარჯები	1 567
ცვეთა და ამორტიზაცია	23 771
ა/მ პარკირების ხარჯები	93
იურიდიული,საკონსულტაციო,მთარგმნელობითი ხარჯი	7 179
სხვა საგადასახადო ხარჯი	198
მივლინების ხარჯი	5 996
სხვა საერთო ხარჯი	1 872
საბანკო ოპერაციის ხარჯი	8 742
წარმომადგენლობითი ხარჯი	3 687
სულ	364 011

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, კომპანიამ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2020 წელს განხორციელებული ტრანზაქციები მოცემულია ქვემოთ:

საქონლის /მომსახურების შეძენა:

სხვადასხვა დაკავშირებულ საწარმოსთან

2 868

სულ

2 868

15. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულება არსებობს.

16. ბალანსის შემდგომი მოვლენები. საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.